სს საქორგგაზი

მისამართი: საქართველო, თბილისი, სამგორი, ქიზიყის ქუჩა 13

სატენდერო განცხადება

კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვაზე: უწყვეტი კვების წყარო (UPS)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს საქორგგაზი (შემდგომში — „შემსყიდველი“) აცხადებს ტენდერს კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების შესყიდვაზე და იწვევს დაინტერესებულ პირებს (შემდგომში — „პრეტენდენტები“) წარმოადგინონ სატენდერო წინადადება წინამდებარე დოკუმენტში მითითებული პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

შესყიდვის საგანია: უწყვეტი კვების წყარო (UPS), მე-3 პუნტში მითითებული რაოდენობითა და ტექნიკური მახასიათებლებით.

შესყიდვის მიზანია ორგანიზაციის სამუშაო ადგილების აღჭურვა თანამედროვე და საიმედო კომპიუტერული ტექნიკით.

2. შემსყიდველის რეკვიზიტები

- დასახელება: სს საქორგგაზი
- საიდენტიფიკაციო კოდი: 208147637
- იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, თბილისი, სამგორი, ქიზიყის ქუჩა 13
- საკონტაქტო პირი: ლევან იაშვილი
- ტელეფონი: +995 577 10 55 70
- ელ. ფოსტა: l.iashvili@socar.ge

3. შესყიდვის საგანი და ტექნიკური მოთხოვნები

ქვემოთ მოცემულია შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი მინიმალური ტექნიკური მახასიათებლებით. პრეტენდენტს უფლება აქვს შესთავაზოს მითითებულის ტოლფასი ან უკეთესი მახასიათებლების მქონე საქონელი.

#	საქონლის დასახელება	ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები (მინიმალური მოთხოვნა)	ერთეული	რაოდენობა
1	**უწყვეტელი კვების წყარო (UPS)**	სიმძლავრე: არანაკლებ 850VA/480W; ტიპი: Line-Interactive; ავტომატური ძაბვის რეგულირება (AVR);	ცალი	68

#	საქონლის დასახელება	ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები (მინიმალური მოთხოვნა)	ერთეული	რაოდენობა
		ავტონომიურობის დრო — სრული დატვირთვის შემთხვევაში მინიმუმ 10 წუთი; გარანტია — არანაკლებ 12 თვისა		

შენიშვნა: ყველა პროდუქტი უნდა იყოს ახალი (დაუშვებულია მეორადი ან აღდგენილი/refurbished ტექნიკა).

4. მონაწილეობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. სამეწარმეო/საგადასახადო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან).
2. ამონაწერი, რომელიც ადასტურებს, რომ პრეტენდენტი არ იმყოფება ლიკვიდაციის ან გაკოტრების პროცესში.
3. ცნობა საგადასახადო დავალიანების არარსებობის შესახებ.
4. შესაბამისი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ბოლო 2 წლის განმავლობაში მინიმუმ 1 ანალოგიური ხელშეკრულების/მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და სარეკომენდაციო წერილი).
5. შეთავაზებული პროდუქციის ტექნიკური სპეციფიკაციები (მწარმოებლის დოკუმენტაცია/სპეც-ფურცელი).
6. შემოთავაზებული პროდუქციის მწარმოებელს (მოწყობილობების შემთხვევაში) საქართველოში უნდა ქონდეს ოფიციალური საგარანტიო მომსახურების სერვის ცენტრი.
7. ავტორიზაციის წერილი მწარმოებლისგან ან ოფიციალური დისტრიბუტორისგან.
8. ხელმოწერილი და ბეჭედდასმული სატენდერო წინადადება, ფასების ცხრილთან ერთად (დანართი №1).
9. პრეტენდენტს უნდა ჰყავდეს შესაბამისი ვენდორის სერტიფიცირებული ქართულ ენოვანი სპეციალისტი.
10. პრეტენდენტი არ უნდა იყოს საჯარო შესყიდვების - procurement.gov.ge შავ საში.
11. პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული პროდუქტი არ უნდა იყოს შექმნილი/ნაწარმოებია ქვეყნის უსაფრთოხებისთვის საფრთხის შემცველი ქვეყნის მიერ.
12. დამკვეთის ინფორმაციული ტექნოლოგიების გარემოში არსებულ მონაცემებზე დაშვების საჭიროების შემთხვევაში პრეტენდენტს უნდა ქონდეს დანერგილი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა და წარმოადგინოს შესაბამისი აუდიტის ანგარიში და კონტროლის მექანიზმების გამოყენებადობის განაცხადი (SOA).

13. პრეტენდენტის მიერი კონტრაქტორის გამოყენების საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული წინასწარ შემოთავაზების წარმოდგენისას უნდა აცნობოს დამკვეთს.

5. სატენდერო წინადადების წარდგენის წესი

სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნეს ელექტრონულად tenders.ge პლატფორმაზე.

დაგვიანებით წარმოდგენილი წინადადებები არ განიხილება.

6. სატენდერო წინადადებების შეფასების კრიტერიუმები

სატენდერო წინადადებები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებისა მიხედვით:

შეფასების კრიტერიუმი
სატენდერო წინადადების ფასი
შეთავაზებული ტექნიკის მახასიათებლების შესაბამისობა/გადაჭარბება მინიმალურ მოთხოვნებთან
გარანტიის ვადა და საგარანტიო მომსახურების პირობები
მიწოდების ვადა

შემსყიდველი იტოვებს უფლებას, არ დააკმაყოფილოს არცერთი წარმოდგენილი წინადადება, საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/განმარტება პრეტენდენტისგან, ან შეწყვიტოს ტენდერის პროცედურა ნებისმიერ ეტაპზე.

7. ხელშეკრულების ძირითადი პირობები

- მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარულ დღეში.
- მიწოდების ადგილი: [ორგანიზაციის მისამართი].
- გადახდის პირობები: უნაღდო ანგარიშსწორება (საბანკო გადარიცხვა); ჯამური ღირებულების 40% წინასწარ ავანსის სახით, ხოლო დარჩენილი 60%, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, 10 კალენდარული დღეში.
- გარანტია: მოწოდებულმა ტექნიკამ უნდა უზრუნველყოს პროდუქტების ცხრილში (მუხლი 3) მითითებული მინიმალური საგარანტიო ვადები; მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს უფასო საგარანტიო მომსახურება/შეცვლა გარანტიის პერიოდში.
- პირგასამტეხლო: მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.01% ოდენობით.
- შესყიდვა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დამატებითი პირობები

პრეტენდენტს უფლება აქვს, დასვას დამაზუსტებელი კითხვები წერილობით, ზემოთ მითითებულ საკონტაქტო ელ. ფოსტაზე, მუხლი 5-ში მითითებულ ვადამდე.

წინამდებარე დოკუმენტში ცვლილება/დამატება, საჭიროების შემთხვევაში, ეცნობება ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერის დასრულებამდე გონივრულ ვადაში.

ტენდერში მონაწილეობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ეკისრება პრეტენდენტს.

დანართი №1 — სატენდერო წინადადების ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება: [_____]

საიდენტიფიკაციო კოდი: [_____]

#	დასახელება	ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (დღგ-ს ჩათვლით	ჯამური ღირებულება
1	უწყვეტი კვების წყარო (UPS)	ცალი	68		
სულ ჯამური ღირებულება (დღგ-ს გარეშე):					

ფასები მითითებულია ლარში (GEL), დღგ-ს ჩათვლით.

პრეტენდენტის ხელმომწერი პირი: _____

თანამდებობა: _____

ხელმოწერა: _____ ბეჭედი: თარიღი: _____